# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 326. | კვირა, 19 ივნისი 1905 წ. | გაზეთის № 2848.


МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

* * *

მდუღვარე ზღვისა ტალღებმა
დასძრეს კლდე გამურული,
ამოსულმა მზემ მრისხანემ
მთლად შეუნგრია ძირი!

—

წივის და წივის არწივი,
დღენი დაუდგა მწვავი;
ბუდე ენგრევა, არ იცის,
სად შეაფაროს თავი!

—

ქახის სვავსა, ყორანსა,
ქორსა, მიმინოს, ძერასა,
რომ მიეშველნონ მკურნველად
საბრალოს გულის ძგერასა.

—

თითქოს შველიან, მაგრამ კლდე
ქანქალებს ძირ-შენგრეული,
სუსტია ძალი მაშველთა,
ზღვა ღელავს აღშფოთებული!

—

ისვრის და ისვრის ტალღებსა,
დაათრთხო ქორნი, ძერანი,
ღონით-ღდე არწივს ემატვის
შიში და გულის ძგერანი!

—

ზღვა ღელავს! მზისა სხივებმა
გაჭვანტა ბნელი, წყვდიადი!
გადაათვარა მიდამოს
ოქროს ზეწარი დიადი!

—

ცა ზირ-მცინარე ელვარებს,
გაუდის ბზინვა, კრიალი,
ზეცაში ზარის რეკვაა,
ჩიტებმა იწყეს ფრთხიალი!

—

აყვავებულა მიდამო,
ხარობს, კეკლუცობს ბუნება,
გაღვიძებული ცხოველი
ზღვისაკენ მიეჩქარება.

—

კლდე იძვრის, მისი ფესვები
ქანაობს, ძირში ირყევა,
ზღვა ღელავს, ბინა სვავებთა,
სადაა, ჩამოინგრევა!

—

წივის და წივის არწივი
დღენი დაუდგა მწვავი;
ბუდე ენგრევა, არ იცის,
სად შეაფაროს თავი!!!

**კატო მიქელაძე.**

# და

(თარგმანი)

18.. წლის ომი ჯერ არ გათავებულიყო. ანჟელიკას დღეები საუკუნოებად ეჩვენებოდა. როგორც აჩრდილი, შავს კაბაში გახვეული, გამხდარი, დადიოდა ოთახიდან ოთახში. სცხოვრობოდა უწინდელ მემამულის დიდ სახლში.

ფიქრში გართულ ანჟელიკას წარმოუდგა თვალ-წინ ტრიალი მინდორი, სადაც აუარებელი ხალხი დაფუსფუსებდა. აქა-იქ ეყარნენ მძიმედ დაჭრილნი. ძლივს-ღა სუნთქავდნენ და კვნესოდნენ. უცბად შენიშნა ნაცნობი სახე...

ისე მოიქანცა ანჟელიკა ამ მოჩვენებით, რომ იქვე ხატის წინ მუხლებზე დაეშო და დაიწყო ლოცვა. ავედრებდა




**ტრისტანი და იზოლდა**,—სურათი ვილლი სპატცისა.

ღმერთს თავისს საყვარელ ძმას ლუსიენს, რომელიც ერთის თვის წინად ომში გაისტუმრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მეუდაბნოესთან.**—სურათი კაულბახისა.

უკანასკნელ წერილში სწერდა იგი, ყველა ცხარე ბრძოლაში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ ჯერ ხელიც კი არ გამკაწრიაო.

გაიარა მას შემდეგ ორმა კვირამ, მაგრამ წერილი აღარ მოსვლია. ხმა გავარდა, რომ გერმანიის ჯარი უკვე შემოვიდა საფრანგეთშიო. რაც კი რამ ხვდებოდათ, ყველას ანადგურებდნენ. აუარებელი ხალხი იღუპებოდა შეუბრალებლად.

საფრანგეთის ჯარი უკან იხევდა.

უიმედოდ გაიცქირებოდა ანჟელიკა გზისაკენ, რომელიც იქვე დაბურულ ტყეში იკარგებოდა. ნათლად წარმოუდგა ის წამი, როდესაც ძმამ უკანასკნელად მოიხედა და დიდრონ ცისფერ თვალებიდან ცრემლი გადმოსკდა.

თავის დარდიან გულის დასამშვიდებლად ანჟელიკა ხშირად გებულობდა იქვე მახლობელ სოფლის გაჭირვებულთა ამბავს, დიდის ყურადღებით ექცეოდა ყველას და, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა.

ანჟელიკა უფრო შეაწუხა და დაალონა ახლად მიღებულმა პატარა ბარათმა: „ჩვენ ტყვედ ჩავუვარდით მტერს. მომწყვდეულნი ვართ მეცში. მტერი გარს შემოგვერტყა. შენი ლუსიენი“.

ანჟელიკა ერთი-ორად გულკეთილი გახდა. უფრო მხურვალედ ეხმარებოდა საწყალთ და ავადმყოფთ. გული მაინც ეტანჯებოდა და სტკიოდა.

ერთ დილას ანჟელიკას ეზოს კარებთან ეტლი გაჩერდა. საჩქაროდ გადმოხტა ნაცნობი მოხუცი.

— კეთილო, ბავშვო,—ეუბნებოდა მოხუცი აღელვებულ ანჟელიკას,—ნუ შეგეშინდება: ჩვენ მოვიყვანეთ ტყვე სალდათი, დაჭრილი. თქვენმა კეთილმა გულმა და კარგმა მოვლამ შეიძლება დაუბრუნოს სიცოცხლე.

ჩაიბარა თუ არა ავადმყოფი, ექიმი გაეშურა სხვა დაჭრილების დასაბინავებლად.

ღამემაც მოაწია. ანჟელიკა მოუსვენრად უგდებდა ყურს დაჭრილის აბდა-უბდა ლაპარაკს. როგორც ნამდვილი და მოწყალებისა, ყურადღებით და მოთმინებით ასრულებდა ექიმის ყველა დარიგებას: ასმევდა წამალს, ადებდა ყინულს.

„საცოდავი, საცოდავი!“—იმეორებდა თავისთვის, როცა უცქეროდა მკვდარსავით გაფითრებულს სახეს და იგონებდა თავის ძმას. თანაც ლოცავდა იმ გერმანელ ქალს, რომელიც შეხვდებოდა მის ლუსიენს, მოუვლიდა და ჭრილობას შეუხვევდა.

მთელ ღამეს ანჟელიკას თვალი არ მოუხუჭნია, როდესაც მეორე დღეს ავადმყოფი გონს მოვიდა, ძლივს სუსტის ხმით დაუძახა ანჟელიკას. სუნთქვა უჭირდა და ძლივს-ძლიობით დაიწყო ლაპარაკი:

— იქნება ჩქარა გამოვესალმო ცხოვრებას. თქვენთან სათხოვარი მაქვს, ამისრულეთ იგი... როდესაც ციხესთან...

ანჟელიკა გაფითრდა, ხელ-ფეხი გაუცივდა.

— როდესაც ციხესთან,—განაგრძო ავადმყოფმა ტყვემ,—ყველა თქვენები ამოვწყვიტეთ, მე პირველს ყარაულს უკანიდან მივეპარე და ხმალი დავკარ. როდესაც სულს ლევდა, აიხსნა გულიდან ეს მედალიონი და მითხრა: „იპოვნეთ ჩემი და და გაძეცით თავის მომაკვდავ ძმისაგან. ჩემ დას სახელად ჰქვიან...“ სახელი ვეღარ გავიგე. მეცა მყავს და... გამომართვით მედალიონი... იქნება როგორმე მოსძებნოთ საბრალო ქალი, უთხარით, რომ ძმა აღარ დაუბრუნდება...

ლაპარაკმა დაღალა ავადმყოფი და თვალები დახუჭა.

ანჟელიკამ იმ წამსვე იცნო მედალიონი. მწუხარებითა და უბედურებით აღშფოთებულმა დიდრონის თვალებით დაუწყო ცქერა დედის მშვიდ სახეს.

გონება დაებნა. ერთი ფიქრი-ღა უტრიალებდა თავში: მოეკლა ტყვე, თავის ძმის ჯალათი და მტარვალი. საშინელის სიძულვილით უფრო დაუდიდრონდა თვალები.

— წავალ, არ შეუხვევ ჭრილობებს, არ დავალევინებ წამალს, და ესეც ისე მოკვდება უპატრონოდ, როგორც ლუსიენი. ამით ვიძიებ შურს...

მაგრამ კეთილისა და კაცთმოყვარეობის გრძნობა წინ ეღობებოდა ცუდ განზრახვას. მოქანცული ანჟელიკა მხურვალედ ლოცულობდა, მისცემოდა იმდენი ძალ-ღონე, რომ მტრისათვის მოეარნა. ძალა მაინც არ შესწევდა. იყო წუთი, რომ კინაღამ მიატოვა დაჭრილი და წავიდა. მაგრამ ამ დროს შეხედა მაცხოვრის სახეს, რომელმაც ამდენი ტანჯვა აიტანა, და დაეშვა მუხლებზე.

— მწყურიან!—დაიკვნესა დაჭრილმა.

ანჟელიკას თავისი მწუხარება დაავიწყდა. ყველაფერი

უღონო აღმოჩნდა ტანჯულ ადამიანის დანახვის დროს. ანჟელიკა წამოდგა და მივიდა დაჭრილთან.

როდესაც ერთი დღის შემდეგ მოხუცი ექიმი მოვიდა, მხიარულად სთქვა:

— მადლობა ღმერთს: ჩვენს ავადმყოფს სასიკვდილო აღარა სჭირს-რა! შეხედეთ, ფერიც კი მოუვიდა, გულიც რიგზე უცემს. ეხლა ღონეც ჩქარა მოუვა, და ახალგაზრდა სიცოცხლე ახლად აყვავდება.

იმ ღამეს ძრიელ დიდხანს ლოცულობდა ანჟელიკა. ცრემლით სავსე თვალები მიეპყრო ხატისთვის. იმის მშვიდსა და წყნარს თვალებში კაცთ-მოყვარეობა გამოიხატებოდა.

ოლბეკ

# მეელი თქმულება

(თარგმანი)

ზალცბურგში მაღალ ქედზედ სდგას ძველთაგან ძველი ციხე-დარბაზი. ამ არე-მარეს არავის ფეხი არ ეკარება მოგზაურთა გარდა, რომელნიც შესდგომიან ძველ შენობათა ხასიათის შესწავლას. ამ რამდენისამე წლის წინად მეც ვინახულე ეს ისტორიული ნაშთი.

— აი აქ იყო ხოლმე მეჯლისი, აქ ბჭობა, აქ ასამართლებენ დამნაშავეთ...

მეუბნებოდა მოხუცი მსახური გაზეპირებულ სიტყვებს.

— აქ იყვნენ ხოლმე ჩამწყვდეულნი პატიმარნი, რომელთაც თავისუფალ ცხოვრებით, ასე თუ ისე, შეეძლოთ დაერღვიათ სიმშვიდე და განცხრომა გახრწნილ მფლობელისა.

ფართო დერეფანის კედელში ჩატანებული იყო რკინის პატარა კარი. სადღესასწაულო დარბაზში შესვლამდის დერეფანი უნდა გაგვევლოთ. ეს კარი ჰფარავდა კედელში რაღაცა თაროს. მცველმა გამოაღო კარი. თარო წარმოადგენდა პატარა საგანს, რომელშიაც კაცი ვერანაირად ვერ გაიმართებოდა.

— აქ ხშირად მთელ წლებს ატარებდნენ პატიმარნი... საკანში, გარდა რკინის რგოლისა, რომელიც მაგრა იყო ჩატანებული კედელში, და პატარა რგვალ სარკმელისა ჭერში, არა იყო რა. სასტიკი მფლობელი ამ კოშკისა მარტო რგოლზედ მიჯაჭვას არ აკმარებდა თავის პატიმართ: თურმე ხელფეხსაც გააჯაჭვინებდა ხოლმე. ასე, ამ რიგად გაბოჭილი ყოფილა ამ საგანში ციხე-დარბაზის მფლობელის მოსისხლე მტერი დაუცხრომელი გუსტავი.

გუსტავის ვინაობა ხშირმა სტუმრებმა, თითქმის ყველამ, დაწვრილებით იცოდნენ. პატიმარი დაუყოვნებლივ მოსთქვამდა მფლობელის უსინდისობა-მოღალატეობას და ძალმომრეობას; დერეფნის გზის აქცევა კი შეუძლებელი იყო სტუმრისათვის.

გუსტავის ხმა მაღალ საჩივარის მიუხედავად, არც მასპინძელს და არც სტუმრებს აზრად არ მოსვლიათ, რომ პატიმრის საჩივარი სხვებსაც ესმოდათ. ამიტომაც მუდამ არხეინად ქეიფობდნენ. კარში, გალავნის გარედ, გუსტავის საკანთან კი ყოველ ღამეს იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და მოსიყვარულე მსახურნი. ესენი გაფაციცებით უსმენდნენ გუსტავის საჩივარსა და ყოველს მის სიტყვას ხალხში ავრცელებდნენ. ხალხში ნელ-ნელა იზრდებოდა ზიზღი ძალმომრევ მფლობელისადმი და შებრალება ტანჯულ გუსტავისადმი.

გუსტავის მეგობრები ყოველს ღონეს ხმარობდნენ, რომ ხალხის ამბოხება მოეხდინათ; სურდათ შემუსრათ საზიზღარი ციხე-დარბაზი და გაენთავისუფლებინათ გუსტავი, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხის თვითგრძნობიერება მეტად მძიმედ იზრდებოდა. ესენი მაინც და მაინც იმედს არა ჰკარგავდნენ და ისევ იკრიბებოდნენ ღამ-ღამობით გუსტავის საკანთან. გუსტავის ყოველ სიტყვას ესენი ღღტაცებაში მოჰყავდა.

— ჯერ კიდევ ცოცხალია... ცოცხალია ჩვენი მამაცი გუსტავი! — გაიძახოდნენ ესენი მუშტის ქნევით და თითქო გასამხნევებლად დასძენდნენ ნელის ხმით: — გაუძელ, გაუძელ ცოტა კიდევ მტარვალს...

მტარვალს კი ის უფრო ესიამოვნებოდა, რაც მაღლა და მეტად სჩიოდა გუსტავი. ხშირად განგებ გააღებინებდა საკანის კარებს და დაცინვით ეუბნებოდა გუსტავს:

— როგორა ბრძანდები, ბატონო გუსტავ? ხომ არავინ არ გაწუხებს? თავი დაანებე გაქცევაზედ ფიქრს? სად არიან შენი მეგობრები, რატომ არ დაგიხსნიან ჩემის კლანჭებიდან? იყვირე... იყვირე ეგრე, ვიდრე არ ჩაგიწყდება ხმა!..

## სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან



ზუგდიდი. — თხების ჯოგი.



ზუგდიდი. — საკლავად ღორები. (სასაჩუქროდ გასუქებული).

ვიღაცამ შეატყობინა ბატონ ციხის მფლობელს, რომ გუსტავის მეგობრებმა იმისი ყოველი ვინაობა იციან, რადგან საკანს გარედ ყოველი მისი სიტყვა მშვენივრად ისმისო. მაშინ სასტიკმა მფლობელმა ბრძანება გასცა, საკნის სარკმელი ამოექოლათ და გუსტავისათვის პირში ბურთი ჩაეჩარად.

გუსტავის მეგობრებმა პირველ ღამესვე შეიტყეს გუსტავის სიჩუმის ამბავი, შეძრწუნდნენ და გამწვავებულებმა შესძახეს ერთმანეთს:

— აივსო მოთმინების ფიალა! გუსტავიც გააჩუმეს, მაშ ეხლა მაინც ამოვიღოთ ხმა...

გათენებისას უთვალავი ხალხი შემოერტყა საზიზღარ ციხე-დარბაზს. გუსტავი განთავისუფლდა, სასტიკი მფლობელი კი სამუდამოდ გამოეთხოვა წუთი სოფელს.

—

ეს ამბავი მიამბო ზალცბურგის მოხუცებულმა მცველმა.

**ვ. მ—შვილი.**




— მიირთვით 100,000 მ. ყოველ წლივ!..



„სტოდავი ყასბები“ მოქალაქეთა მდგომარეობისათვის ზრუნავენ, რომ ხორცი გააიაფონ და შეუმსუბუქონ ტფილისელებს ის მძიმე ტვირთი, რომელიც ყველას კისერზე აწევს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ 16 іюня 1905 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.